

სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტზე პროფესორების სამსახურში მისაღებად კონკურსის გამოცხადების რექტორის 2024 წლის 4 ივნისის #142/01-01 ბრძანების საფუძველზე

ფიზიკის დეპარტამენტში გამოცხადებული კონკურსის უზრუნველსაყოფად უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2024 წლის 28 ივნისის #70/2024 დადგენილების საფუძველზე დამტკიცებული საკონკურსო კომისიის სხდომის შემაჯამებელი ოქმი

ქ. თბილისი

22 ივლისი, 2024

16:00, თსუ მე-2 კორპუსი, ოთახი # 216

სხდომას კომისიის 4 წევრიდან ესწრებოდა 4 წევრი:

1. თამაზ კერესელიძე - თსუ-ს ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორი (კომისიის თავმჯდომარე);
2. მერაბ ელიაშვილი - თსუ-ს ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორი (კომისიის თავმჯდომარის მოადგილე);
3. თამარ ჭელიძე - თსუ-ს ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი (კომისიის მდივანი);
4. ამირან ბიბილაშვილი - თსუ-ს ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი.

დღის წესრიგი:

1. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ფიზიკის დეპარტამენტზე ატომისა და ატომბირთვის ფიზიკის კათედრის, ელემენტარული ნაწილაკებისა და კვანტური ველების კათედრის, არაწრფივი მოვლენების ფიზიკის კათედრის ასისტენტ პროფესორების სამსახურში მისაღებად გამოცხადებულ კონკურსში შეფასების პირველი და მეორე ეტაპების შედეგების განხილვა, ურთიერთშეჯერება და შეჯამება.
2. კონკურსის შედეგების ამსახველი შემაჯამებელი ოქმის უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოსთვის გადაცემა.

მოისმინეს:

1. კომისიის თავმჯდომარის თამაზ კერესელიძის ინფორმაცია საკონკურსო კომისიის მიერ კონკურსის ორივე ეტაპის ჩატარებისა და ფარული კენჭისყრის შედეგების შესახებ.

კიდევ ერთხელ აღინიშნა, რომ საკონკურსო დოკუმენტაცია იყო დალუქულ მდგომარეობაში და კანდიდატების საკონკურსო დოკუმენტაციის ლუქებისა და შეფუთვის სიმრთელე დარღვეული არ იყო.

ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ფიზიკის დეპარტამენტის ატომისა და ატომბირთვის ფიზიკის კათედრის ასისტენტ პროფესორის (ა-კატეგორია) ერთი საკონკურსო თანამდებობის დასაკავებლად საბუთები შემოიტანა ერთმა კანდიდატმა - ფიზიკის დოქტორმა მალხაზ გოჩიტაშვილმა.

ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ფიზიკის დეპარტამენტის ელემენტარული ნაწილაკებისა და კვანტური ველების კათედრის ასისტენტ პროფესორის (ა-კატეგორია) ერთი საკონკურსო თანამდებობის დასაკავებლად საბუთები შემოიტანა ერთმა კანდიდატმა - ფიზიკის დოქტორმა თეიმურაზ ნადარეიშვილმა.

ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ფიზიკის დეპარტამენტის არაწრფივი მოვლენების ფიზიკის კათედრის ასისტენტ პროფესორის (ა-კატეგორია) ერთი საკონკურსო თანამდებობის დასაკავებლად საბუთები შემოიტანა ერთმა კანდიდატმა - ფიზიკის დოქტორმა ზაზა ტოკლიკიშვილმა.

კომისიის თავმჯდომარის მოადგილემ მიმოიხილა თითოეული კონკურსანტის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია, გასაუბრებისა და კენჭისყრის შედეგები.

### მალხაზ გოჩიტაშვილი

აღინიშნა, რომ მალხაზ გოჩიტაშვილის განათლება: 1965-1971 თსუ, ფიზიკის ფაკულტეტი, ფიზიკოსი, სპეციალიზაცია - თეორიული ფიზიკა, 1974-1976 სანკტ-პეტერბურგის ა.ფ. იოფეს სახ. ფიზიკა-ტექნიკის ინსტიტუტი, ატომური დაჯახებების ფიზიკის ლაბორატორია, სტაჟიორ-მკვლევარი, 1976-1979 სანკტ-პეტერბურგის, ა.ფ. იოფეს სახ. ფიზიკა-ტექნიკის ინსტიტუტი, ატომური დაჯახებების ფიზიკის ლაბორატორია, მიზნობრივი ასპირანტურა; აკადემიური/სამეცნიერო ხარისხი: ფიზ. მათ. მეცნ. კანდიდატი (ფიზიკის დოქტორის ექვივალენტური); სამსახურებრივი გამოცდილება: 2008-2024 თსუ ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი, ფიზიკის დეპარტამენტი, ატომისა და ატომბირთვის კათედრა, ასისტენტ პროფესორი; 2006-2009 სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი, ფიზიკის მიმართულება, ასოცირებული პროფესორი; 2006-2008 თსუ ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი, მოწვეული პედაგოგი; 1994-2006 თსუ ატომურ-მოლეკულური პროცესების ფიზიკის ლაბორატორია, ოპტიკური სპექტროსკოპიის განყოფილება, განყოფილების გამგე; 1983-1994, თსუ გამოყენებითი ბირთვული

ფიზიკის ლაბორატორია, უფროსი მეცნიერ თანამშრომელი; 1979-1983 თსუ გამოყენებითი ბირთვული ფიზიკის ლაბორატორია, უმცროსი მეცნიერ თანამშრომელი; პედაგოგიური სტაჟი: 6 წელზე მეტი შეესაბამება ვაკანსიის პროფილს და სრულიად აკმაყოფილებს მოთხოვნებს. შესაბამისად კონკურსანტმა I კატეგორიის მიხედვით მიიღო შეფასება „კვალიფიკაცია აკმაყოფილებს მოთხოვნებს“.

II კატეგორია - პედაგოგიური გამოცდილების შესაბამისობა ვაკანსიის პროფილთან - აღნიშნა, რომ კონკურსანტის პედაგოგიური გამოცდილება: 2008 წლიდან დღემდე თსუ ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ფიზიკის დეპარტამენტის ასისტენტ პროფესორი, ლექციები/პრაქტიკული მეცადინეობები/სემინარები/ლაბორატორიული მეცადინეობები ბაკალავრიატის 10 და მაგისტრატურის 5 საგანში, სასწავლო-მეთოდური საქმიანობა: სახელმძღვანელოები მოდელირება ეკოლოგიაში“, 2018 წ, „გამოყენებითი ბირთვული ფიზიკა“ (ნაწილი I), 2020წ, სტატია ჟურნალში: „დათარიღების ბირთვული მეთოდები“, 2024წ, მის მიერ წაკითხული კურსები: ვაკანსიის პროფილის შესაბამისია და ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტსა და ფიზიკის დეპარტამენტზე განხორციელებულ საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამების სავალდებულო/არჩევითი კურსებია. წარმოდგენილი სილაბუსების შინაარსი და ფორმა სრულიად შეესაბამება თსუ-ში დადგენილ მოთხოვნებს. კომისიის გადაწყვეტილებით II კატეგორიის მიხედვით კონკურსანტმა მალხაზ გოჩიტაშვილმა მიიღო შეფასება „მაღალი“.

III კატეგორია - სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა - კომისიის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ კონკურსანტს აქვს 29 პუბლიკაცია WEB of SCIENCE იმპაქტ ფაქტორის მქონე ჟურნალებში, 13 სხვა მნიშვნელოვანი პუბლიკაცია, უკანასკნელ წლებში მონაწილეობდა 1 საერთაშორისო და 6 ადგილობრივ სამეცნიერო კონფერენციაში, აქვს თანამშრომლობა უცხოეთის სამეცნიერო ცენტრებთან (ნიუ-იორკის ტექნოლოგიური კოლეჯი, ფიზიკის დეპარტამენტი, მისურის მეცნიერებისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტი), მისის ციტირების ინდექსია 179/7/9, სამეცნიერო კვლევების თემატიკა და შინაარსი ვაკანსიის პროფილის შესაბამისია და სრულიად აკმაყოფილებს მოთხოვნებს.

საკონკურსო კომისიისათვის შესაფასებლად წარმოდგენილი ერთი გამოქვეყნებული ნაშრომი: M. Gochitashvili , R. Lomsadze , R.Ya. Kezerashvili, I. Noselidze, M. Schulz, “Radiative emissions from charge exchange processes in collisions of 0.7–10.0 keV He+with N2 and O2 molecules” Journal of Molecular Spectroscopy, Volume 403, July–August 2024, 111916, არის მაღალი ხარისხის სამეცნიერო ნაშრომი, რომელიც გამოქვეყნებულია WEB of Science იმპაქტ ფაქტორის მქონე ჟურნალში.

სამეცნიერო კვლევების კონცეფცია/სამოტივაციო წერილში კონკურსანტი დეტალურად აღწერს საკუთარ აკადემიურ და სამეცნიერო გამოცდილებას; წარმოადგენს ხევდას ფიზიკაში ღრმა თეორიული განათლებისა და ექსპერიმენტული გამოცდილების კომბინაციის მნიშვნელოვნების შესახებ პედაგოგიურ და სამეცნიერო საქმიანობაში; ასევე

წარმოადგენს საკუთარ მიდგომას სტუდენტების დაინტერესებისა და მათი სამეცნიერო საქმიანობაში ჩართვის საქმეში. შესაბამისად კონკურსანტის საერთო შეფასება III კატეგორიის ორივე ნაწილში არის „მაღალი“

IV სხვა სახის აქტივობა: კონკურსანტი არის 15-მდე საბაკალავრო ნაშრომის სამეცნიერო ხელმძღვანელი; მრავალი სტუდენტური ნაშრომის სამეცნიერო ხელმძღვანელი (საბაკალავრო და სამაგისტრო საფეხურზე). ფლობს ენებს: რუსული - თავისუფლად (წერა-C1 , კითხვა-C2, მეტყველება-C2 დონეზე); ინგლისური-კარგად (წერა-B2 , კითხვა-B2, მეტყველება-B1 დონეზე); ფლობს კომპიუტერულ პროგრამებს: „Origin“ (გამოიყენება ექსპერიმენტული მონაცემების დამუშავებისთვის და ანალიზისთვის) და “MaTlab” (გამოიყენება მონაცემების დამუშავებისათვის, ანალიზისთვის და ფიზიკურ, ეკოლოგიურ და სხვა პროცესებთან დაკავშირებული ამოცანების მოდელირებისათვის); Word, Exel და PowerPoint.

დამატებითი ინფორმაცია: სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის ჯილდო 2017 წლის საუკეთესო მეცნიერისა და მეცნიერთა ჯგუფისთვის (ატომური და მოლეკულური დაჯახებების ფიზიკა, მასსპექტრომეტრია, ლაზერული სპექტროსკოპია, ოპტიკა) განვითარებაში შეტანილი წვლილისთვის; პეტრე მელიქიშვილის სახელობის სამეცნიერო პრემია, (1992); საერთაშორისო სამეცნიერო, რეფერირებადი და რეცენზირებადი ინტერნეტ ჟურნალის Electronic Scientific Journal (GESJ:Physics) ფიზიკის მიმართულების სწავლული მდივანი. კომისიის გადაწყვეტილებით საერთო შეფასება IV კატეგორიის ორივე ნაწილის მიხედვით არის „მაღალი“.

#### თეიმურაზი ნადარეიშვილი

აღინიშნა, რომ თეიმურაზი ნადარეიშვილის განათლება: 1972-1979 თსუ, ფიზიკის ფაკულტეტი, ფიზიკოსი, სპეციალიზაცია - თეორიული ფიზიკა, აკადემიური/სამეცნიერო ხარისხი: ფიზ.მათ. მეცნ. კანდიდატი (ფიზიკის დოქტორის ექვივალენტური); სამსახურებრივი გამოცდილება: 2008-დღემდე თსუ ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი, ფიზიკის დეპარტამენტი, ასისტენტ პროფესორი; 2002-2006 თსუ ფიზიკის ფაკულტეტი, დოცენტი კონკურსის წესით, 1999-დღემდე თსუ მაღალი ენერჯიების ფიზიკის ინსტიტუტი.უფროსი მეცნიერ თანამშრომელი, 1999-2002 თსუ ფიზიკის ფაკულტეტი, დოცენტი; პედაგოგიური სტაჟი: 6 წელზე მეტი შეესაბამება ვაკანსიის პროფილს და სრულიად აკმაყოფილებს მოთხოვნებს. შესაბამისად კონკურსანტმა I კატეგორიის მიხედვით მიიღო შეფასება „კვალიფიკაცია აკმაყოფილებს მოთხოვნებს“.

II კატეგორია - პედაგოგიური გამოცდილების შესაბამისობა ვაკანსიის პროფილთან - აღინიშნა, რომ კონკურსანტის პედაგოგიური გამოცდილება: 2008 წლიდან დღემდე თსუ ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ფიზიკის დეპარტამენტის ასისტენტ პროფესორი, ლექციები/პრაქტიკული მეცადინეობები/ სემინარები/ლაბორატორიული მეცადინეობები ბაკალავრიატის 6 და მაგისტრატურის 2 საგანში, სასწავლო-მეთოდური საქმიანობა: ამოცანათა კრებული კვანტურ მექანიკაში, თსუ გამომცემლობა, 2018 წ., ამოცანათა კრებული არარელატივისტურ დაჯახებათა

კვანტურ თეორიაში და რელატივისტურ კვანტურ მექანიკაში. თსუ გამომცემლობა. 2019 წ; მის მიერ წაკითხული კურსები ვაკანსიის პროფილის შესაბამისია და ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტსა და ფიზიკის დეპარტამენტზე განხორციელებულ საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამების სავალდებულო/არჩევითი კურსებია. წარმოდგენილი სილაბუსების შინაარსი და ფორმა სრულიად შეესაბამება თსუ-ში დადგენილ მოთხოვნებს. კომისიის გადაწყვეტილებით II კატეგორიის მიხედვით კონკურსანტმა თეიმურაზი ნადარეიშვილმა მიიღო შეფასება „მაღალი“.

III კატეგორია - სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა - კომისიის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ კონკურსანტს აქვს 10 პუბლიკაცია WEB of SCIENCE იმპაქტ ფაქტორის მქონე ჟურნალებში, 3 სხვა მნიშვნელოვანი პუბლიკაცია, უკანასკნელ წლებში მონაწილეობდა 2 საერთაშორისო და 6 ადგილობრივ სამეცნიერო კონფერენციაში, მონაწილეობდა 2 საგრანტო პროექტში, მისის ციტირების ინდექსია 150/7/9, სამეცნიერო კვლევების თემატიკა და შინაარსი ვაკანსიის პროფილის შესაბამისია და სრულიად აკმაყოფილებს მოთხოვნებს.

საკონკურსო კომისიისათვის შესაფასებლად წარმოდგენილი ერთი გამოქვეყნებული ნაშრომი: A.Khelashvili,T.Nadareishvili"Generalized Heisenbeg uncertainty relation in spherical coordinates", International Journal of Modern Physics B. , Vol. 36, No15. pp.2250072-1--2250072-19, არის მაღალი ხარისხის სამეცნიერო ნაშრომი, რომელიც გამოქვეყნებულია WEB of Science იმპაქტ ფაქტორის მქონე ჟურნალში.

სამეცნიერო კვლევების კონცეფცია/სამოტივაციო წერილში კონკურსანტი დეტალურად აღწერს თავის აკადემიურ და სამეცნიერო გამოცდილებას, წარმოადგენს საკუთარ ხედვას თეორიული ფიზიკის კურსების სწავლების მიმართ რაც ძირითადად გამოიხატება სტუდენტებისთვის ორგინალური ამოცანების მიცემისა და არასტანდარტული ამოხსნის უნარის განვითარებასა და სტიმულირებაში. შესაბამისად კონკურსანტის საერთო შეფასება III კატეგორიის ორივე ნაწილში არის „მაღალი“

IV სხვა სახის აქტივობა: 2018 წლიდან დღემდე - გაზეთ "თბილისის უნივერსიტეტის" რედკოლეგიის წევრი, თსუ საბავშვო უნივერსიტეტის ფარგლებში სამეცნიერო პოპულარული ლექციები უფროსკლასელთათვის თანამედროვე ფიზიკის აქტუალურ საკითხებზე (2018 - 2024 ), 2023 წლიდან ზუსტ და საბუნებისმეტყველო ფაკულტეტის ფიზიკის დეპარტამენტთან არსებული ზუსტ და საბუნებისმეტყველო (ზსმ) სკოლის ფიზიკის სექციის მოწვეული პედაგოგი. კომპიუტერულ პროგრამები: Ms-Windows, Ms-Word, Ms- Excel, Poverprint, Internetexplorer; ენები: ინგლისური, რუსული დამატებითი ინფორმაცია: 2011 წლიდან დღემდე - მასწავლებელთა და აბიტურიენტთა ნაწერების გამსწორებელი ფიზიკაში, ერთიან ეროვნულ გამოცდები; ქართულ ლიტერატურულ გამოცემებში ლიტერატურულ – ფილოსოფიური ესეები, ჩანახატები და თარგმანები. კომისიის გადაწყვეტილებით საერთო შეფასება IV კატეგორიის ორივე ნაწილის მიხედვით არის „მაღალი“.

## ზაზა ტოკლიკიშვილი

აღინიშნა, რომ ზაზა ტოკლიკიშვილი განათლება: 1986-1993 თსუ, ფიზიკის ფაკულტეტი, ფიზიკოსი, სპეციალობა-თეორიული ფიზიკა, აკადემიური/სამეცნიერო ხარისხი: ფიზიკის დოქტორი, სამსახურებრივი გამოცდილება: 2010-დღემდე თსუ ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი, ფიზიკის დეპარტამენტი, ასისტენტ პროფესორი; 2007-2010 თსუ, ზოგადი ფიზიკის სასწავლო-სამეცნიერო ლაბორატორიის ლაბორანტი, 2006-2007 თსუ მოწვეული ლექტორი, 2000-2006 თსუ, დაბალი ტემპერატურების ფიზიკის ს/კ ლაბორატორიის უმცროსი მეცნიერ თანამშრომელი, პედაგოგიური სტაჟი: 6 წელზე მეტი შეესაბამება ვაკანსიის პროფილს და სრულიად აკმაყოფილებს მოთხოვნებს. შესაბამისად კონკურსანტმა I კატეგორიის მიხედვით მიიღო შეფასება „კვალიფიკაცია აკმაყოფილებს მოთხოვნებს“.

II კატეგორია - პედაგოგიური გამოცდილების შესაბამისობა ვაკანსიის პროფილთან - აღინიშნა, რომ კონკურსანტის პედაგოგიური გამოცდილება: 20010 წლიდან დღემდე თსუ ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ფიზიკის დეპარტამენტის ასისტენტ პროფესორი, ლექციები/პრაქტიკული მეცადინეობები/სემინარები/ლაბორატორიული მეცადინეობები ბაკალავრიატის 11 და მაგისტრატურის 2 საგანში, სასწავლო-მეთოდური საქმიანობა: ა. უგულავა, ზ. ტოკლიკიშვილი, ამოცანები სტატისტიკურ ფიზიკაში, 2016, სტატისტიკური ფიზიკა 2, ლექციათა კურსი, (2013), ფიზიკის შესავალი, ლექციათა კურსი; მის მიერ წაკითხული კურსები ვაკანსიის პროფილის შესაბამისია და ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტსა და ფიზიკის დეპარტამენტზე განხორციელებულ საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამების სავალდებულო/არჩევითი კურსებია. წარმოდგენილი სილაბუსების შინაარსი და ფორმა სრულიად შეესაბამება თსუ-ში დადგენილ მოთხოვნებს.

კომისიის გადაწყვეტილებით II კატეგორიის მიხედვით კონკურსანტმა ზაზა ტოკლიკიშვილმა მიიღო შეფასება „მაღალი“.

III კატეგორია - სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა - კომისიის თავმჯდომარემ აღინიშნა, რომ კონკურსანტს აქვს 35 პუბლიკაცია WEB of SCIENCE იმპაქტ ფაქტორის მქონე ჟურნალებში, 4 სხვა მნიშვნელოვანი პუბლიკაცია, უკანასკნელ წლებში მონაწილეობდა 3 ადგილობრივ სამეცნიერო კონფერენციაში, თანამშრომლობს უცხოეთის სამეცნიერო ცენტრებთან (ჰალეს (გერმანია) მარტინ ლუთერის უნივერსიტეტის ფიზიკის ინსტიტუტი), მისი ციტირების ინდექსია 315/10/16, სამეცნიერო კვლევების თემატიკა და შინაარსი ვაკანსიის პროფილის შესაბამისია და სრულიად აკმაყოფილებს მოთხოვნებს.

საკონკურსო კომისიისათვის შესაფასებლად წარმოდგენილი ერთი გამოქვეყნებული ნაშრომი: Electrically controlled entanglement of cavity photons with electromagnons, Z. Toklikishvili, L. Chotorlishvili, R.Khomeriki, V. Jandieri, and J. Berakdar, PHYSICAL REVIEW B 107, 115126 (2023) არის მაღალი ხარისხის სამეცნიერო ნაშრომი, რომელიც გამოქვეყნებულია WEB of Science იმპაქტ ფაქტორის მქონე ჟურნალში.

სამეცნიერო კვლევების კონცეფცია/სამოტივაცია წერილში სამოტივაციო წერილში კონკურსანტი აღწერს თავის აკადემიურ და სამეცნიერო გამოცდილებას, რაც

განაპირობებს მის მოტივაციას დაიკავოს აღნიშნული თანამდებობა. შესაბამისად კონკურსანტის საერთო შეფასება III კატეგორიის ორივე ნაწილში არის „მაღალი“

IV სხვა სახის აქტივობა: კომპიუტერთან მუშაობის უნარები: Windows XP/7/10, Microsoft Office, Mathlab, Mathematica, Maple, Latex, ენების ცოდნა: ინგლისური, რუსული კომისიის გადაწყვეტილებით საერთო შეფასება IV კატეგორიის ორივე ნაწილის მიხედვით არის „მაღალი“.

კონკურსანტის შეფასების პირველი ეტაპის დასრულების შემდეგ, დადგენილი პროცედურის დაცვით გაიმართა შეფასების მეორე ეტაპი - გასაუბრება.

გასაუბრების ეტაპზე კომისიის წევრების მიერ პრეტენდენტებს დაესვა შეკითხვები მათი სამეცნიერო საქმიანობისა და სამომავლო სამეცნიერო გეგმების შესახებ, საგანმანათლებლო საქმიანობისა და წასაკითხად შემოთავაზებული ახალი სასწავლო კურსების შესახებ, და სხვა კითხვები, რომლებიც დაკავშირებულია უნივერსიტეტში აკადემიური პერსონალის შრომით და საგანმანათლებლო-სამეცნიერო საქმიანობასთან. კომისიის წევრების მიერ დასმულ შეკითხვებს პრეტენდენტებმა ამომწურავი პასუხები გასცეს. კომისიამ შეაფასა პრეტენდენტების პროფესიული უნარ-ჩვევები, დისკუსიაში ჩართულობა, გადმოცემისა და მსჯელობის კულტურა, ქცევისა და მეტყველების მანერა.

გასაუბრების შედეგად დადასტურდა, რომ

- პრეტენდენტ მალხაზ გოჩიტაშვილის კანდიდატურა სრულ შესაბამისობაშია ფიზიკის დეპარტამენტის ატომისა და ატომბირთვის ფიზიკის კათედრის ასისტენტ პროფესორის (კატეგორია ა) მოთხოვნებთან.
- პრეტენდენტ თეიმურაზი ნადარეიშვილის კანდიდატურა სრულ შესაბამისობაშია ფიზიკის დეპარტამენტის ელემენტარული ნაწილაკებისა და კვანტური ველების კათედრის ასისტენტ პროფესორის (კატეგორია ა) მოთხოვნებთან.
- პრეტენდენტ ზაზა ტოკლიკიშვილის კანდიდატურა სრულ შესაბამისობაშია ფიზიკის დეპარტამენტის არაწრფივი მოვლენების ფიზიკის კათედრის ასისტენტ პროფესორის (კატეგორია ა) მოთხოვნებთან.

შეფასების პირველი და მეორე ეტაპების შედეგების ურთიერთშეჯერების საფუძველზე კონკურსის გამარჯვებულის გამოვლენის მიზნით ჩატარდა ფარული კენჭისყრა, რომელშიც მონაწილეობას იღებდა კომისიის ყველა წევრი.

- ფიზიკის დეპარტამენტის ატომისა და ატომბირთვის ფიზიკის კათედრის ასისტენტ პროფესორის (კატეგორია ა) გამოცხადებულ ვაკანსიაზე ჩატარებული ფარული კენჭისყრის შედეგად კომისიის ყველა წევრმა ერთხმად დაუჭირა მხარი მალხაზ გოჩიტაშვილის კანდიდატურას.

საკომპურსო კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილება გამართლებულია ფიზიკის დეპარტამენტის და მასზე და ასევე მთლიანად ზუსტ და

საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტზე მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების საჭიროებით, მათი განვითარების პერსპექტივებით. გადაწყვეტილების მიღებისას კომისია დაეყრდნო კონკურსანტის აქტიურ და ნაყოფიერ აკადემიურ და სამეცნიერო საქმიანობას, მრავალწლიან და მრავალფეროვან გამოცდილებას, პროფესიულ უნარ-ჩვევებს და პიროვნულ თვისებებს.

- ფიზიკის დეპარტამენტის ელემენტარული ნაწილაკებისა და კვანტური ველის კათედრის ასისტენტ პროფესორის (კატეგორია ა) გამოცხადებულ ვაკანსიაზე ჩატარებული ფარული კენჭისყრის შედეგად კომისიის ყველა წევრმა ერთხმად დაუჭირა მხარი თეიმურაზი ნადარეიშვილის კანდიდატურას.

საკონკურსო კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილება გამართლებულია ფიზიკის დეპარტამენტის და მასზე მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების საჭიროებით, მათი განვითარების პერსპექტივებით. გადაწყვეტილების მიღებისას კომისია დაეყრდნო კონკურსანტის აქტიურ და ნაყოფიერ აკადემიურ და სამეცნიერო საქმიანობას, გამოცდილებას, პროფესიულ უნარ-ჩვევებს და პიროვნულ თვისებებს, ასევე მის აქტივობებს და წვლილს უნივერსიტეტის მესამე მისიის განხორციელებაში.

- ფიზიკის დეპარტამენტის არაწრფივი მოვლენების ფიზიკის კათედრის ასისტენტ პროფესორის (კატეგორია ა) გამოცხადებულ ვაკანსიაზე ჩატარებული ფარული კენჭისყრის შედეგად კომისიის ყველა წევრმა ერთხმად დაუჭირა მხარი ზაზა ტოკლიკიშვილის კანდიდატურას.

საკონკურსო კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილება გამართლებულია ფიზიკის დეპარტამენტის და მასზე და ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტზე მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების საჭიროებით, მათი განვითარების პერსპექტივებით. გადაწყვეტილების მიღებისას კომისია დაეყრდნო კონკურსანტის აქტიურ აკადემიურ და განსაკუთრებით ნაყოფიერ სამეცნიერო საქმიანობას, გამოცდილებას, პროფესიულ უნარ-ჩვევებს და პიროვნულ თვისებებს.

კომისიამ ერთხმად დაადგინა:

1. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ფიზიკის დეპარტამენტის ატომისა და ატომბირთვის ფიზიკის კათედრის ასისტენტ პროფესორის (ა კატეგორია) ერთ ვაკანსიაზე გამოცხადებულ კონკურსში გამარჯვებულად გამოვლინდა პრეტენდენტი მალხაზ გოჩიტაშვილი.
2. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ფიზიკის დეპარტამენტის ელემენტარული ნაწილაკებისა და კვანტური ველის კათედრის ასისტენტ პროფესორის (ა კატეგორია) ერთ ვაკანსიაზე გამოცხადებულ კონკურსში გამარჯვებულად გამოვლინდა პრეტენდენტი თეიმურაზი ნადარეიშვილი.



3. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ფიზიკის დეპარტამენტის არაწრფივი მოვლენების ფიზიკის კათედრის ასისტენტ პროფესორის (ა კატეგორია) ერთ ვაკანსიაზე გამოცხადებულ კონკურსში გამარჯვებულად გამოვლინდა პრეტენდენტი ზაზა ტოკლიკიშვილი.
4. კომისიამ იმსჯელა უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს მიერ #118/2014 დადგენილებით დამტკიცებული აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღებისა და კონკურსის ჩატარების წესის შესახებ და ერთხმად გაადგინა: შემაჯამებელი ოქმი გამოქვეყნდეს საჯაროდ უნივერსიტეტის ვებ გვერდზე და დასამტკიცებლად გადაეცეს უნივერსიტეტის აკადემიურ საბჭოს.

კომისიის წევრების ხელმოწერა

თარიღი 22.07.2024

პროფ. თამაზ კერესელიძე  
კომისიის თავმჯდომარე



პროფ. მერაბ ელიაშვილი  
კომისიის თავმჯდომარის მოადგილე



ასოც. პროფ. ამირან ბიბლილაშვილი  
კომისიის წევრი



ასოც. პროფ. თამარ ჭელიძე  
კომისიის მდივანი

